

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №7

დაბა ქედა,

22.11.2022 წელი

სხდომა დაიწყო 12:30 სთ-ზე.

სხდომა დამთავრდა 13:40 სთ-ზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ვაჟა აბულაძე - ქედის მუნიციპალიტეტის სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

მარინა ბარამიძე - კომისიის წევრი;

რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;

ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;

დავით სირაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდნენ:

მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი;

გოჩა გორგილაძე - კომისიის წევრი;

შორენა კარანაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით - თეონა ჯინჭარაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსი - ეკა გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის განხილვა.

1. მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარე ვაჟა აბულაძემ კომისიის წევრებს გააცნო „ქედის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (წერილის ნომერი: 12-95223193-95, 15.11.2022 წელი).

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრმა ლევან ვერძაძემ რამდენიმე კითხვით მიმართა სხდომაზე დამსწრეთ:

ა) ბიუჯეტის პროექტში ჩაწერილი სოციალური სახლის მშენებლობა რომელ ტერიტორიაზე უნდა განხორციელდებულყო?

ბ) იყო თუ არა განსაზღვრული ზუნდაგის სპორტული მოედნის რესტავრაცია 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით?

კომისიის წევრმა რეზო თურმანიძემ კითხვა დასვა გააგრძელებდა თუ არა მუნიციპალიტეტი 2023 წელს ამბულატორიებზე დაქვემდებარებული ტრასპორტის ფინანსურ უზრუნველყოფას მაშინ როდესაც ამბულატორიები ჯანდაცვის დაქვემდებარებაში გადასული?

კომისიის წევრმა დავით სირაბიძემ სხდომაზე შემდეგი კითხვები დასვა:

ა) რა ეტაპზე იყო სოფელ კვამტის წყლის პროექტზე მიმდინარე სამუშაოები;

ბ) ამხანაგობის მხარდაჭერაზე გამოყოფილი 100 000 ლარით რა ღონისძიებები იგეგმებოდა;

გ) ჰქონდა თუ არა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში მუნიციპალიტეტს განსაზღვრული სტუდენტთა დახმარების პროგრამა;

დ) როგორ მოხდა მარტოხელა მშობლებისა და მარჩენალდაკარგულთა აღრიცხვა მუნიციპალიტეტში;

ე) რა ეტაპზე იყო მახუნცეთის ბაღის რესტავრაცია;

ვ) რა ბედი ეწოდა 2021-2022 წწ განუხორციელებად დარჩენილ პროექტებს.

დავით სირაბიძემ კომისიას თხოვნით მიმართა 2023 წლის ბიუჯეტის ზეპირი მოსმენის სხდომაზე დასწრებოდნენ მერიის სამსახურის უფროსები და მუნიციპალიტეტის შ.პ.ს-ებისა და ა.ა.ი.პ.-ების ხელმძღვანელები, რათა საკითხის განხილვა მომხდარიყო სიღრმისეულად.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ კითხვებთან დაკავშირებით განმარტა:

-სოციალური სახლის მშენებლობა 2023-2026 წწ იგეგმება ყოფილი საავადმყოფოს ტერიტორიაზე;

-ზუნდაგის სპორტული მოედნის რესტავრაციასთან დაკავშირებით არ იყო გამოყოფილი თანხა წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში, თუმცა წლის განმავლობაში კორექტირება იქნებოდა შესაძლებელი;

- ამბულატორიების ტრანსპორტისათვის გასაწევი ხარჯები ამ ეტაპზე კვლავ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გრძელდებოდა;

- სოფელ კვაშტის წყლის პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხი არ იყო შემოსული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში;

- ამხანაგობის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მუნიციპალიტეტში შემოტანილ უნდა იქნას პროექტი თვითონ ამხანაგობის მიერ და მისი დაფინანსება მოხდება პროექტის გამარჯვების შემდგომ;

-სტუდენტთა დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ მსგავსი ტიპის პროგრამა მუნიციპალიტეტს არ გააჩნია;

-მუნიციპალიტეტში მარტოხელა მშობლებისა და მარჩენალდაკარგულთა აღრიცხვა მოხდა სოციალურ სამსახურზე დაყრდნობით;

-მახუნცეთის ბაღის რესტავრაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტი ამ ეტაპზე არის გაჩერებული;

-2021-2022 წწ განუხორციელებელი დარჩა ორი პროექტი განსახორციელებელი, დაბა ქედაში მოედნის რესტავრაცია და სოფელ ჭალახმელაში გაბიონის მოწყობა-ჩამოსხმა. რაც შეეხება დანარჩენ პროექტებს უკვე გამოცხადებულია ტენდერები.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 1 (დავით სირაბიძე)

გ ა და წ ყ ვ ი ტ ე ს :

1. კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს კომისიის სხდომაზე გამოთქმული შენიშვნები წარედგინოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 13:40 სთ.ზე დასრულდა გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

ვაჟა აბულაძე

ოქმი შეადგინა:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე დამხმარე სპეციალისტი საკრებულოს კომისიების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით

თეონა ჯინჭარაძე

